აუდიტორული დასკვნა

24.05.2017 წ.

ქ.ხაშური

აუდიტორული დასკვნა შეადგინა, აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტი +“-ის (ს/ნ 443854349) აუდიტორმა კარლო აბრამაშვილმა. სახელმწიფო რეესტრში შპს „აუდიტი +“-ის სარეგისტრაციო ნომერია SARAS-F-549218, ხოლო აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერია SARAS-A-240561 (იხ. www. Saras.gov.ge). აუდიტორი ამავდროულად არის ა.ა.ი.პ. „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“ (საბფმფ) წევრი (მოწმობა ფპ-1 #009).

აუდიტის ჩატარების მიზანი იყო შემდეგი: სსიპ „გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ხაშურის №6 საჯარო სკოლის“ ეზოში არსებული საპირფარეშოს ფაქტიური მდგომარეობის დადგენა და მისი დემონტაჟის შემთხვევაში სადემონტაჟო სამუშაოების, ასევე მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისად აუდიტორული დასკვნის მომზადება.

დამკვეთის, სსიპ „გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ხაშურის №6 საჯარო სკოლის“ დირექტორის, ქალბატონ თამარ ხადურის მომართვისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ჩავატარე შეთანხმებული პროცედურები.

წინამდებარე დასკვნაში ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები დაფუძნებულია ჩემს შინაგან რწმენასა, პროფესიულ კომპეტენციაზე და არანაირად არის დაკავშირებული რაიმე დაინტერესებაზე ფინანსური ან სხვა კუთხით.

აღნიშნული შენობა/ნაგებობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა შემდეგი:

შენობის აღწერილობა

შენობის სიგანე შეადგენს 3,8 მეტრს, სიგრძე 11,10 მეტრს, სულ საერთო ფართი შენობის კედლების გარე აზომვის მიხედვით შეადგენს (3,8მ*11,10მ) 42,18 კვ.მეტრს. შენობაში ოთახები გატიხრულია ერთი საყრდენი და ორი შედარებით თხელი არასაყრდენი კედლით, რომელთა სიგრძე შეადგენს 3 მეტრს, შენობის სიმაღლეა 3 მეტრი. შენობის

საყრდენი კედლების სისქე არის 0,40 მეტრი. ხოლო არასაყრდენი კედლების სისქეა 0,20 მეტრი. შენობა მთლიანად აშენებულია სამშენებლო აგურით.

შენობის ფაქტიური მდგომარეობა

შენობის ჭერი დამზადებულია ეგრეთწოდებული ხის „ტკეჩით", ხოლო გადახურულია აზბესტის „შიფერით". სახურავი დაზიანებულია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ მხარე, შედეგად შენობაში ჩადის ნალექით გამოწვეული წყალი, რის გამოც დაზიანებულია ჭერი, საყრდენი კედლები „ქამარის" უქონლობის, სიძველის და ნალექის ჩადინების გამო დაბზარულია. იატაკი სადაც თავისდროზე დამონტაჟებული იყო ფეხზე დასადგომი უნიტაზები ნაწილობრივ ჩანგრეულია, შედეგად შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იგრძნობა ფეკალური მასების სუნი.

დასკვნაში მოყვანილი ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოხდეს საპირფარეშოს დემონტაჟი, რადგან მისი აღდგენა/რეკონსტრუქცია შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა ფიზიკურ ჯანმრთელობას. (იხ. ფოტო მასალა)







მეორადი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულება

ჩემს მიერ განხორციელდა შენობის დემონტაჟის შემთხვევაში, მსხვრევისა და დაზიანების გათვალისწინებით, მისაღები მეორადი რეალიზაციისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების ღირებულებების დადგენა, ბაზარზე ჩასაბარებელი შესყიდვის ფასების გათვალისწინებით. ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი იქნა ანალოგები, რომლებსაც დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ. ინფორმაცია ანალოგიური და მსგავსი აქტივების ღირებულებების შესახებ მოპოვებული იქნა ინტერნეტის საშუალებით, ბაზრობიდან, ასევე ჩატარებული იქნა ინტერვიუები კომპეტენტურ პირებთან.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მეშვეობით წარმოდგენილია შენობის დემონტაჟის შემთხვევაში მეორადი დანიშნულების სამშენებლო მასალის დასახელება, ზომები, რაოდენობა, ერთეულის საბაზრო ფასები და საერთო საბაზრო ღირებულება:

#	მასალის დასახელება	ზომები	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება
1	სამშენებლო აგური	სტანდარტული	9700	0,25	2425
ჯამი			9700		2425

დემონტაჟის შემთხვევაში, მისაღები სასარგებლო ღირებულების მქონე მეორადი სამშენებლო მასალის (აგური) საბაზრო ღირებულემაბ შეადგინა **2425** (ორიათას ოთხასოცდახუთი) ლარი.

რაც შეეხება, სკოლის საპირფარეშოს შენობის სადემონტაჟო სამუშაოების სავარაუდო ღირებულებას, ყველა თანმდევი ხარჯების გათვალისწინებით (ტრანსპორტი, მუშახელი) განისაზღვრა **600** (ექვსასი) ლარით.

შპს „აუდიტი +"-ის

დირექტორი: კ. აბრამაშვილი